**გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის დავით ადუაშვილის**

**2022 წლის 1 ოქტომბრიდან 2023 წლის 1 ნოემბრამდე გაწეული საქმიანობის**

**ანგარიში**

2022 წლის 1 ოქტომბრიდან 2023 წლის 1 ნოემბრამდე დავესწარი გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 18 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 298 საკითხის განხილვაში.

ვარ ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე. დავესწარი ფრაქციის 9 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 156 საკითხის განხილვაში.

ასევე ვარ ჯანდაცვის, განათლების, სპორტის, კულტურის და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი დავესწარი 9 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 22 საკითხის განხილვაში. ასევე ვარ საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრი, დავესწარი კომისიის 4 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 6 საკითხის განხილვაში.

მთელი წლის განმავლობაში სისტემატიურად ვხვდები როგორც საკრებულოში მოსულ მოქალაქეებს სხვადასვა საკითხებთან დაკავშირებით, ასევე ჩემს მაჟორიტარულ ოლქში, სადაც გამოიკვეთა მთელი რიგი პრობლემები, რომელიც სისტემატიურად მოგვარების პროცესშია:

- განვლილ პერიოდში სოფელ უფლისციხის ეზოში მოეწყო ხელოვნური საფარიანი მოედანი სკოლის ეზოში;
- ასევე სოფელ უფლისციხეში გაკეთდა გარე განათების სისტემა დიოდური განათებით;
- გორიდან უფლისციხის მუზუმამდე, ცენტრალურ გზაზე გაკეთდა გარე განათება;
- უფლისციხის სკვერში მოეწყო რეკრეაციული ზონდა და გაკეთდა საფეხმავლო ბილიკი;
- სოფელ ქვახვრელში დაიგო 2კმ გზა ასფალტის საფარით;
- სოფელ ქვახვრელში მოეწყო სპორტულ მოედანთან მოსასვენებელი სკვერი;
- ასევე სოფელ ქვახვრელში გაკეთდა სამარშუტო გაჩერებები;
- ამას გარდა, სოფელ ქვახვრელში გაკეთდა ახალი სარწყავი არხი;
- სოფელ ქვახვრელში დაირგო 130-მდე სხვადასხვა ჯიშის ნერგი გამწვანებისთვის.

აღნიშნული მოთხოვნების ნაწილი მოგვარებულ იქნა, ნაწილი აისახება მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტში.

ამასთან ერთად აქტიურად ვარ ჩართული მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების საქმიანობაში. გარდა ამისა აქტიურად ვმონაწილეობ საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ მუშაობაში.

**გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის დავით ადუაშვილის**

**ამომრჩევლებთან შეხვედრის დამადასტურებელი**

**ოქმი**

**ქ. გორი** **2023 წლის 23 ოქტომბერი.**

სხდომას ესწრებოდნენ :

**საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე:** ბექა ლობჟანიძე;

**ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო"- ფრაქციის თავმჯდომარე:** კობა ბერიანიძე;

**საკრებულოს წევრი:** დავით ადუაშვილი;

**სხდომას ასევე ესწრებოდნენ:** ქვახვრელის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობა და საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი თინათინ ფირანიშვილი.

**სხდომას თავმჯდომარეობდა:** საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ბექა ლობჟანიძე.

## დღის წესრიგი

**გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის დავით ადუაშვილის 2022 წლის 1 ოქტომბრიდან 2023 წლის 1 ნოემბრამდე გაწეული საქმიანობის ანგარიში**

სხდომის თავმჯდომარემ დამსწრე პირებს წარუდგინა საკრებულოს წევრი დავით ადუაშვილი და გააკეთა განმარტება, რომ საკრებულოს ყველა წევრი ვალდებულია წელიწადში ერთხელ მაინც, არაუგვიანეს 1 ნოემბრისა, ამომრჩეველს წარუდგინონ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის განხილვისას უპასუხონ ამომრჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს.

სხდომის დღის სწესრიგის მიხედვით სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საკრებულოს წევრს დავით ადუაშვილს, რომელმაც დეტალურად ისაუბრა 2022 წლის 1 ოქტომბრიდან 2023 წლის 1 ნოემბრამდე განვლილ პერიოდიში მის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ. აღნიშნა ის გამოწვევები და სიკეთეები რაც თან ახლდა მოსახლეობის პრობლემების მოგვარებას. მოსხალეობის მხრიდან დაისვა შეკითხვები,

რომლებიც ძირითადად ეხებოდა ინფრასტუქტულულ პროექტებს და სოციალურ პრობლემებს. საკრებულოს წევრმა დავით ადუაშვილმა აღნიშნა, რომ იგი აქტიურადაა ჩართული მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის შედგენის და პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადებაში, სადაც ასევე იქნება მოსახლეობის ის პრობლემები ასახული რომელის გაკეთებაც ვერ მოხერხდა ამ წლის ბიუჯეტიდან.

**აზრი გამოთქვეს:** თამარ მურალოვამ, გიორგი ქართველიშვილმა და გიორგი ზაალიშვილმა.

**გადაწყვიტეს:** პრობლემების გამოვლენის და აღმოფხვრის მიზნით გაიზარდოს მოსახლეობის ჩართულობა, რისთვისაც უფრო სისტემატიური ხასიათი მიიღოს საკრებულოს წევრების და ამომრჩევლების ურთიერთშეხვედრებმა და ურთიერთ თანამშრომლობამ.

**სხდომის თავმჯდომარე:** ბექა ლობჟანიძე;

**საკრებულოს წევრი :** დავით ადუაშვილი.